ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

1 ბიბლიოთეკები თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტია

ბიბლიოთეკების ხელშეწყობა, რათა ყველას ჰქონდეს კულტურისა და განათლების ხელმისაწვდომობა და უფლებრივი ევროპის განვითარება

2 ბიბლიოთეკები ცოცხალი დემოკრატიის საფუძველს ქმნიან

ბიბლიოთეკების, როგორც სამოქალაქო გაძლიერების სივრცეების ხელშეწყობა, დემოკრატიული ევროპისთვის

3 ბიბლიოთეკები აძლიერებენ ინკლუზიასა და ინოვაციას

ბიბლიოთეკების , როგორც ინკლუზიური და ეფექტური "ღია მეცნიერების" სისტემის ხელშეწყობა, ინოვაციური ევროპის უზრუნველყოფისთვის

4 ბიბლიოთეკები იცავენ ევროპის მეხსიერებას

ბიბლიოთეკების ხელშეწყობა მემკვიდრეობის დაცვისა და ხელმისაწვდომობისთვის, ინფორმირებული და წარსულის გამოცდილებაზე დამყარებული ევროპის შექმნისთვის

5 ბიბლიოთეკები ხელს უწყობენ საერთაშორისო განვითარებას

ბიბლიოთეკების უზრუნველყოფა პარტნიორ ქვეყნებში სწავლისა და განვითარებისთვის, უფრო მშვიდობიანი მსოფლიოსა და ძლიერი ევროპული კავშირებისთვის

PUBLIC LIBRARIES 2030 — CONNECT. INNOVATE. ADVOCATE.
EBLIDA
LIBER
NAPLE FORUM — NATIONAL AUTHORITIES ON PUBLIC LIBRARIES IN EUROPE
IFLA — International Federation of Library Associations and Institutions

This work is licensed under CC BY-NC-SA 4.0.

ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი
2024 წლის
ევროპარლამენტის
არჩევნებისთვის

1

ბიბლიოთეკები უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას

ბიბლიოთეკების ხელშეწყობა, რათა ყველას ჰქონდეს კულტურისა და განათლების ხელმისაწვდომობა, რათა შექმნან უფლებრივი ევროპა

ბიბლიოთეკები ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემის ადგილია, კლასიკური ლიტერატურიდან უახლეს კვლევებამდე. მართლაც, ბევრი ევროპელისთვის ბიბლიოთეკები ყველაზე მშობლიური, კულტურის ინფრასტრუქტურა გახლავთ, რომლის სივრცეები შთაგონების, დაცულობის, განახლების ადგილია. ბიბლიოთეკები იცავენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, მიიღოს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა
ამასთანავე, ბიბლიოთეკები არაფორმალური განათლების უმთავრესი კერებია, რომლებიც ციფრული, წიგნიერებისა და მედიის უნარების განვითარებაში საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს ეხმარებიან. მკითხველთა საჭიროებისა და კულტურის ღრმა ცოდნით, ისინი ავითარებენ პროგრამებს, რომლებსაც რეალური სასიკეთო ცვლილება შეაქვთ ადამიანების ცხოვრებაში და ახალ შესაძლებლობებს უხსნიან მათ.

არსებული მანდატით, ევროკავშირის სამუშაო გეგმა კულტურის სფეროში ქმნის ამ როლის გათავისების შესაძლებლობას, თუ როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება მთელი ევროპის მასშტაბით.
ახლა არის მომენტი, რომ შევქმნათ მომავალი!

<u>აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ ევროპის კავშირს:</u>

- **ევროკავშირის პროგრამებში განათლებისა და კულტურის მიმართულებით გამოყოს დაფინანსება ბიბლიოთეკებისთვის**
- **უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ევროკავშირის მასშტაბით პროფესიულ ტრენინგებსა და ცოდნის გაცვლას ბიბლიოთეკარებისთვის, ხელი შეუწყოს ევროკავშირის წევრ ქვეყნების ბიბლიოთეკებს შორის იმ პორტალებისა და საშუალებების გაზიარებას**
- **ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურების გაძლიერებას, რათა ყველა ევროპელმა ისარგებლოს საუკეთესო საბიბლიოთეკო მომსახურებით.**

ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

PUBLIC LIBRARIES 2030 CONNECT. INNOVATE. ADVOCATE. · EBLIDA · LIBER · NAPLE FORUM NATIONAL AUTHORITIES ON PUBLIC LIBRARIES IN EUROPE · IFLA International Federation of Library Associations and Institutions

2 ბიბლიოთეკები ცოცხალი დემოკრატიის საფუძველს ქმნიან

ბიბლიოთეკების, როგორც სამოქალაქო გაძლიერების სივრცეების ხელშეწყობა, დემოკრატიული ევროპისთვის

ჩვენ გვჯერა, რომ ბიბლიოთეკები აძლიერებენ მოქალაქეებს, რათა შექმნან დემოკრატიული, სოციალურად აქტიური და ციფრულად ინკლუზიური ევროპა. ბიბლიოთეკები, როგორცსივრცე ინდივიდუალური განათლებისა და კულტურით სიხარულის (დემოკრატიისთვის არსებითი) გაზიარებისთვის, ბიბლიოთეკები მთავარი ადგილებია ერთობის შექმნისა და სამოქალაქო განვითარებისთვის. ევროკავშირის სამუშაო გეგმა კულტურის სფეროში აღიარებს ბიბლიოთეკების, როგორც საზოგადოებრივი კავშირების ხიდების მნიშვნელობას საზოგადოებაში.

ბიბლიოთეკების განსაკუთრებული როლია საინფორმაციო ჩართულობისა და იმ უნარების ხელშეწყობა, რომელიც ამ ჩართულობის შეფასებასა და აღიარებაში გვეხმარება. დიდი ხანია, მთელს ევროპაში, ბიბლიოთეკები აქტიურად ქმნიან საზოგადოებრივ პროგრამებს, მაგრამ დღეს საჭიროა საერთო, სისტემური ეროვნული და ევროპული სტრატეგიის შექმნა, მათი წვლილის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის.
ბიბლიოთეკები ფართო მასშტაბით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთავრობების, პარლამენტებისა და მოსახლეობის მიერ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ცოდნის მენეჯმენტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მდგრადი და ინოვაციური განვითარების ხელშეწყობისთვის, ევროპას სულ უფრო მეტი ყველა ტიპის ბიბლიოთეკა დაჭირდება.

<u>აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ ევროპის კავშირს:</u>

- **ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებში შეიტანოს ბიუჯეტის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო ბიბლიოთეკებში მოქალაქეების აქტივობების ხელშეწყობას, ბიბლიოთეკართა ფართომასშტაბიან ტრენინგებსა და კოლეგათა შორის ცოდნის გაზიარებას ევროკავშირის მასშტაბით,**
- **ხელი შეუწყოს მომავალ კვლევებს მოქალაქეებისთვის საგანმანათლებლო საბიბლიოთეკო პროგრამებში ჩართულობისთვის, ბიბლიოთეკებისთვის ინფორმაციული და საგანმანათლებლო ჩართულობის სტრატეგიების ხელშეწყობისთვის.**
- **ევროკავშირმა ითანამშრომლოს საჯარო ბიბლიოთეკებთან, რათა ევროკავშირის მოქალაქეებისთვის შეიქმნას სპეციალური პოლისი, დემოკრატიის, მდგრადი განვითარებისა და ციფრული გარდაქმნისთვის**

ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

PUBLIC LIBRARIES 2030 CONNECT. INNOVATE. ADVOCATE. · EBLIDA · LIBER · NAPLE FORUM NATIONAL AUTHORITIES ON PUBLIC LIBRARIES IN EUROPE · IFLA International Federation of Library Associations and Institutions

3

ბიბლიოთეკები აძლიერებს ინკლუზიასა და ინოვაციას

ბიბლიოთეკების, როგორც ინკლუზიური და ეფექტური "ღია მეცნიერების" სისტემის ხელშექწყობა, ინოვაციური ევროპის უზრუნველყოფისთვის

ევროკავშირი უკვე მსოფლიო ლიდერია "ღია მეცნიერების" სფეროში, რითაც ხელს უწყობს ისეთი ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურისა და პოლიტიკის განვითარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რომელიც რეალურად შექმნის ღია მეცნიერებას. ბიბლიოთეკების საქმიანობის შედეგია კვლევითი შედეგების სისწრაფე, ხარისხი და წვდომა. მომდევნო წლებში, ევროპას შესაძლებლობა ექნება, გააძლიეროს სამეცნიერო მიმართულებები არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევების არსებული ბრწყინვალე დონით, არამედ კანონებითა და რეგულაციებით ფართომასშტაბიანი ხელშეწყობით. ბიბლიოთეკები ლიდერი ორგანიზაციებია სამოქალაქო მეცნიერებების პოტენციალის გაზრდისთვის. ეს უდიდესი პოტენციალია საზოგადოებაში წიგნიერებისა და მეცნიერების გააზრებისა, აგრეთვე, ისეთი კვლევების ხელშეწყობისა, რომლებიც სხვა მხრივ შეუძლებელი იქნებოდა.

<u>აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ ევროპის კავშირს:</u>

- **სულ უფრო გააძლიეროს ღია მეცნიერების მიმართულება, განსაკუთრებით, სარწმუნო და ცხადი მეთოდების საშუალებით, როგორიც არის მეორადი გამოქვეყნების უფლება და ამ უფლებების უზრუნველყოფა**
- **აღიაროს მეცნიერების, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის პრინციპები და უზრუნველყოს საავტორო უფლებების, კვლევათა შედეგის შემსწავლელი პროცესის ფართომასშტაბიანი განვითარება, იმუშაოს კონკურენტული გარემოსა და საბაზრო მნიშვნელობის პრობლემების დაძლევაზე, მათი უგულვებელყოფის ნაცვლად..**
- **ხელი შეუწყოს სამოქალაქო მეცნიერების ეფექტური გამოცდილების გააზრების ხელშეწყობასა და გაძლიერებას, მათ შექმნაში ბიბლიოთეკების როლის გაძლიერებას**

ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

PUBLIC LIBRARIES 2030 CONNECT. INNOVATE. ADVOCATE. · EBLIDA · LIBER · NAPLE FORUM NATIONAL AUTHORITIES ON PUBLIC LIBRARIES IN EUROPE · IFLA International Federation of Library Associations and Institutions

4

ბიბლიოთეკები იცავენ ევროპის მეხსიერებას

ბიბლიოთეკების ხელშეწყობა მემკვიდრეობის დაცვისა და ხელმისაწვდომობისთვის, ინფორმირებული და წარსულის გამოცდილებაზე დამყარებული ევროპის უზრუნველყოფისთვის

ბიბლიოთეკები ევროპის მეხსიერების დაცვისთვის არსებითი ადგილებია. ბიბლიოთეკები უზრუნველყოფს, რომ წარსულიდან გაკვეთილები ავიღოთ და მომავალი გავაძლიეროთ. თუმცა, დოკუმენტური მემკვიდრეობა ხშირად არის მივიწყებული, როცა მემკვიდრეობის როლისა და პოტენციალის შესწავლაზეა საუბარი.

არსებული ინიციატივები, როგორიც არის ახალი ევროპის მშენებლობა, მხედველობაში უნდა იღებდეს ამ მემკვიდრეობას მაშინ, როცა ევროპის საერთაშორისო ლიდერობა კულტურის განვითარების პოლიტიკაში ინტეგრაციის მხრივ, კულტურაცენტრისტულ პროგრესზე უნდა აისახოს„ ბიბლიოთეკებზე დაყრდნობით.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ევროპის მემკვიდრეობის სფეროში ინვესტიციების გაგრძელებას, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის მემკვიდრეობა მთელი მისი მრავალმხრივობით ხელმისაწვდომია ყველა ევროპელისთვის, ყველასთვის იქმნება შესაძლებლობები, რათა ისარგებლოს ამ მემკვიდრეობით და ხელი შეუწყოს შემოქმედების განვითარებას.

<u>აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ ევროპის კავშირს:</u>

- უზრუნველყოს, რომ კულტურის სფეროში ფართომასშტაბიანი პროგრამები დოკუმენტური მემკვიდრეობის ათვისების მნიშვნელობას სრულად აღიარებდეს, მათ შორის, ევროკავშირის მიდგომები კულტურისა და მდგრადი განვითარების სფეროში.
- იხელმძღვანელოს საავტოორ უფლებების დირექტივის მიმოხილვით, რათა შეისწავლოს, როგორ განვითარდა არაკომერციული მიზნებით ნამუშევრების წვდომა და უფრო ეფექტური და ღია ხელმისაწვდომობის პოპულარიზაცია მოახდინოს.
- გააძლიეროს ბიბლიოთეკების შესაძლებლობა, შეიძინონ და უზრუნველყონ ციფრული და გაციფრებული ელექტრონული წიგნებისა და ტექსტების ხელმისაწვდომობა.

ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

PUBLIC LIBRARIES 2030 CONNECT. INNOVATE. ADVOCATE. · EBLIDA · LIBER · NAPLE FORUM NATIONAL AUTHORITIES ON PUBLIC LIBRARIES IN EUROPE · IFLA International Federation of Library Associations and Institutions

5 ბიბლიოთეკები ხელს უწყობენ საერთაშორისო განვითარებას

ბიბლიოთეკების უზრუნველყოფა პარტნიორ ქვეყნებში სწავლისა და განვითარებისთვის, უფრო მშვიდობიანი მსოფლიოსა და ძლიერი ევროპული კავშირებისთვის

საერთაშორისო პარტნიორობისა და განვითარების ხელშეწყობის გზით, ევროკავშირს აქვს ტრადიცია, სიახლეები გლობალურად განავითაროს. საბიბლიოთეკო სისტემებსა და ბიბლიოთეკებთან მუშაობა ევროკავშირის გარეთ არსებულ სამყაროში ხელს უწყობს ინკლუზიის, ინოვაციისა და ზრდის პირობებს მთელი ერთობებისა და საზოგადოებისთვის, ევროპის ბიბლიოთეკებში დაცული იდეებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

ევროკავშირს მნიშვნელოვანი ხმა აქვს საერთაშორისო სცენაზე. ევროკავშირი G20 კონტექსტში, განვითარების მიზნით კულტურის ჩართულობის აღიარებული ჩემპიონია. მომავალი პარლამენტისა და კომისიის მუშაობას გადამწყვეტი როლი ექნება 2030 წლის შემდგომი დღის წესრიგის შექმნაში.

დასასრულ, ბიბლიოთეკების მუშაობა საავტორო საკუთრებისა და სხვა საკითხებში წესებით რეგულირდება. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი ქვეყანა ვერ სარგებლობს შესაძლებლობებითა და მხარდაჭერით, რათა განაახლოს ეს რეგულაციები ციფრული ეპოქის შესაბამისად, ქვეყანათა შორის თანამშრომლობა მეტ ხელშეწყობას მოითხოვს. ევროკავშირი, თავისი საქმიანობით და მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, სავაჭრო ხელშეკრულებებით კიდევ უფრო დაეხმარება მოკავშირეებს წინსვლაში.

<u>აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ ევროპის კავშირს:</u>

- შექმნას ბიბლიოთეკების მხარდაჭერის საკუთარი პროგრამები, რათა ხელი შეუწყოს მთელ მსოფლიოში ბიბლიოთეკების მხრიდან ცოდნის გავრცელების ინფრასტრუქტურის განვითარებას.
- გააგრძელოს კულტურის განვითარების, როგორც 2030 წლის შემდგომი დღის წესრიგის მნიშვნელოვანი მიზნის მხარდაჭერა, ასევე ინფორმირებული და გაძლიერებული საზოგადოების მნიშვნელობის გააზრება.
- დადებითად განსაზღვროს საავტორო უფლებების საერთაშორისო მასშტაბით რეფორმა, რათა ბიბლიოთეკებს საშუალება ჰქონდეთ, განახორციელონ თავიანთი მისია, როგორც ევროკავშირის საზღვრებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

PUBLIC LIBRARIES 2030 CONNECT. INNOVATE. ADVOCATE. · EBLIDA · LIBER · NAPLE FORUM NATIONAL AUTHORITIES ON PUBLIC LIBRARIES IN EUROPE · IFLA International Federation of Library Associations and Institutions

საკონტაქტო იმეილები:

PL2030	Ilona Kish	ilona@pl2030.eu
EBLIDA	Mikkel Christoffersen	mikkel.christoffersen@eblida.org
IFLA	Stephen Wyber	stephen.wyber@ifla.org
NAPLE	Stuart Hamilton	shamilton@lgma.ie
LIBER	Martine Pronk	martine.pronk@libereurope.org

This work is licensed under CC BY-NC-SA 4.0.

ბიბლიოთეკები მდგრადი მომავლისთვის

მანიფესტი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის

მომხმარებლის გზამკვლევი

ევროკავშირის პოლიტიკას გავლენა აქვს ევროპის ბიბლიოთეკების საქმიანობაზე. ბიბლიოთეკები იღებენ და ასახავენ ევროკავშირის პოლიტიკის პრიორიტეტებს, როგორებიც არის მწვანე გარდაქმნა, ციფრული უნარების განვითარება და დემოკრატიის ხელშეწყობა თავიანთი პროგრამებითა და აქტივობებით. საპასუხად, ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ევროკავშირის ფონდების დაფინანსებით, რესურსებითა და საშუალებებით სარგებლობა. ევროკავშირის პოლიტიკის პრიორიტეტებთან თქვენი საბიბლიოთეკო აქტივობების დაკავშირება დაგეხმარებათ ადგილობრივი პოლიტიკის ავტორებსა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის განვითარებაში. საერთო ხედვის გაზიარება ევროპის საბიბლიოთეკო სექტორის შესახებ საბიბლიოთეკო ქსელს კიდევ უფრო გააძლიერებს!

ეს მანიფესტი მხოლოდ I ეტაპია. მეორე ეტაპი დაიწყება ზაფხულის შესვენების შემდეგ და მოგვიანებით ბევრ სიახლეს შეიტყობთ.

ჩვენი სურვილია, ეს მანიფესტო ხელმისაწვდომი საშუალება იყოს ბიბლიოთეკებისთვის, საინფორმაციო პროფესიის სპეციალისტებისა და საბიბლიოთეკო ასოციაციებისთვის მთელი ევროკავშირის მასშტაბით, ადვოკატირების საქმიანობაში. ივნისში, ევროპის პარლამენტში არჩეული ადამიანები მიიღებენ გადაწყვეტილებებს,რომლებიც ბიბლიოთეკებზე აისახება, ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მათ ესმოდეთ, რატომ არის ჩვენი საქმიანობა მნიშვნელოვანი და რა გვჭირდება ჩვენი მისიის განხორციელებისთვის. ამ თანამშრომლობისთვის ადრიანი მზაობა უკეთესად დაგვეხმარება.
დღეს ჯერ კიდევ უცნობია, ვინ იქნება მომავალ პარლამენტში, სავარაუდოდ, დღევანდელი ევროპის პარლამენტის წევრთა ნახევარი კვლავ იქნება არჩეული, ხოლო მაღალი სტატუსი მქონე პირთა ნაწილი პენსიაზე გავა.
ამდენად, ქვემოთ მოცემულია რამდენიმე იდეა, როგორ შეიძლება მანიფესტით საქმიანობის ხელშეწყობა:

- თარგმნეთ მანიფესტი თქვენს მშობლიურ ენაზე (ამ ენაზე თუ არ შექმნილა) და გააზიარეთ ვებსაიტსა და მედია საშუალებებში
- გაუზიარეთ ის მთავარ პოლიტიკურ პარტიებს თქვენს ქვეყანაში. შეგიძლიათ, მათ ჰკითხოთ, როგორ წარმოუდგენიათ მანიფესტში აღნიშნული 5 მიმართულების მხარდაჭერა და რას გეგმები აქვთ.
- მთავარი პოლიტიკური პარტიების კანდიდატებთან საუბარში გაიგეთ, ვინ შეიძლება ბიბლიოთეკებისადმი კეთილგანწყობილი მხარდამჭერი, ან მომიჯნავე სფეროში აქტიურად ჩართული იყოს- ლექტორი, ერთობის ლიდერი, ხელმძღვანელი- დაუკავშირდით მას. ჰკითხეთ, რას ფიქრობენ ამ 5 მიმართულების განვითარებაზე.
- იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი პასუხები გექნებათ, გააზიარეთ ეს თქვენს ვებსაიტზე! პასუხების არქონის შემთხვევაშიც, ეს იქნება შესაძლებლობა, რომ პოლიტიკოსებსა და პარტიებთან ბიბლიოთეკის განვითარებაზე ისაუბროთ.
- თქვენ შეგიძლიათ მანიფესტი გაგზავნოთ პოლისების ავტორებთან და დაინტერესებულ პირებთან ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, აგრეთვე, როგორც ძლიერი ევროპული ქსელის წარმომადგენელმა.

PUBLIC LIBRARIES 2030 CONNECT. INNOVATE. ADVOCATE. · EBLIDA · LIBER · NAPLE FORUM NATIONAL AUTHORITIES ON PUBLIC LIBRARIES IN EUROPE · IFLA International Federation of Library Associations and Institutions